პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 255 (3739)

1968 წ. 31 დეკემბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ნახტომი მომავალში

მაშ ასე, ოლიმპიური წელი იწურება. დადგა განვლილი სეზონის შედეგების შეჯამების, ახალი გეგმების დასახვის დრო. როგორა აქვთ საქმე ჩვენს საუკეთესო წყალში მხტომელებს, როგორია მათი პერსპექტივები? აას-ის კორესპონდენტმა ამაზე პასუხის გაცემა სთხოვა სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ა. სევერიანოვს და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მწვრთნელს ი. ზოტოვს.

● **კმაყოფილი არიან თუ არა ჩვენი სპეციალისტები მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა მხტომელების გამოსვლით?**

სევერიანოვი: თუ ობიექტურ მაჩვენებლებს ავიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ კმაყოფილი ვართ. საბჭოთა მხტომელებმა პირველად მოიპოვეს ორი ვერცხლის მედალი: ნ. ლობანოვამ კოშკზე და თ. პოგოჟევამ ტრამპლინზე. დღემდე ჩვენთვის უმაღლესი ჯილდო ბრინჯაო იყო. მხტომელებმა არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველად მოგვიტანეს 11 ქულა; წინა ოლიმპიადებში კი 9-10 ქულაზე მეტი არ მიგვიღია. მაგრამ, მიუხედავად ამ უეჭველი პროგრესისა, ჩვენი სპეციალისტები დიდად ნასიამოვნები როდი არიან.

ზოტოვი: გასაგებიცაა! წლეულს ხომ ჩვენი მხტომელები განსაკუთრებით კარგად მომზადებულნი იყვნენ.

● **რას ეყრდნობოდა ეს რწმენა?**

სევერიანოვი: ჩვენი ოლიმპიური გუნდი საკმაოდ ახალგაზრდული, ამავე დროს, საკმაოდ გამოცდილი იყო. ნ. კარპუხინას გარდა ყველა სპორტსმენი ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილეა. ისინი წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1965 წელს საბჭოთა მხტომელებმა ევროპის თასზე შეჯიბრებაში ოთხიდან სამი ოქროს მედალი დაისაკუთრეს. 1966 წელს მათ კონტინენტის ჩემპიონთა სამი ტიტული მოიპოვეს, ერთი წლის შემდეგ კი, მეხიკოს „წინაოლიმპიურ კვირეულში“, პოგოჟევა და ალექსეევა ოქროს მედლებით დააჯილდოვეს. მ. საფონოვამ და ვ. ბაკლანოვამ ამ წლების მანძილზე მრავალჯერ დაიმტკიცეს ევროპაში უძლიერესთა სახელი. ესე იგი, რწმენის საფუძველი გვქონდა.

ზოტოვი: დიახ, ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები პროგრესის გზას ადგნენ, მაგრამ მეხიკოში ვაჟთა გუნდი (მ. საფონოვი, ვ. ვასინი, ვ. პოგოჟევი და დიდად გამოცდილი სპორტსმენი ბ. პოლულიახი) დამარცხდა.

● **რა არის წარუმატებლობის მიზეზი?**

სევერიანოვი: ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი შეიქმნა. ზოგს მიაჩნია, რომ გუნდი მზადების დასკვნით ეტაპზე კიევში გამართული საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ დასუსტდა და ფსიქოლოგიურად ცუდად იყო მომზადებული ოლიმპიური სტარტებისთვის. სხვები ყურადღებას ამახვილებენ მწვრთნელთა მეთოდურ შეცდომებზე. მაგალითად, დავასახელოთ გალინა ალექსეევა, ტოკიოს ბრინჯაოს პრიზიორი, ჩვენი მთავარი იმედი მეხიკოში. სპორტსმენმა, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე ხტომას სირთულის უმაღლესი კოეფიციენტით ასრულებდა, აშკარად დაკარგა საბრძოლო თვისებები. საწვრთნელ მეცადინეობებზე იგი იშვიათად ასრულებდა რთულ ხტომას.

ან ვასინი ავიღოთ. იგი ტექნიკურად ძლიერი, ათლეტური, ძალიან ნიჭიერი მხტომელია, მაგრამ ნებისყოფამ უღალატა.

ზოტოვი: აი, ხედავთ? ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ფსიქოლოგიურ მომზადებამდე მიდის. ფსიქოლოგია სპორტში დღეს მოდაში შემოვიდა, ხშირად ლაპარაკობენ ამაზე. ჩემი აზრით კი ფსიქოლოგიური მომზადება, რწმენა მაშინ ჩნდება, როცა კაცი ინტენსიურად, გონივრულად, მიზანდასახულად ვარჯიშობს.

სევერიანოვი: დიახ, ასეა. და თუმცა მწვრთნელთა საბჭომ ოლიმპიადის წინ თვითეულს დაუგეგმა ინდივიდუალური დავალება, აღმოჩნდა, რომ გეგმები ყოველთვის როდი სრულდებოდა. საიდან გვქონდა ასეთი წარმატება 1965-66 წლებში? გვქონდა იმიტომ, რომ მოწინავე მხტომელები მაშინ ბევრს ვარჯიშობდნენ აკრობატიკაშიც, მხატვრულ ტანვარჯიშშიც, ქორეოგრაფიაშიც. ბოლო დროს კი რატომღაც ყოველივე ამას გულგრილად ეკიდებიან.

ზოტოვი: დიახ, ეს სერიოზული ნაკლია. ამიტომ, როცა ცვლის მომზადებაზე ვფიქრობდით, ახალ კლასიფიკაციაში შევიტანეთ ხმელეთზე სპეციალური მზადების ნორმატივები — აკრობატიკა, ბატუტზე ვარჯიში, „მშრალი ტრამპლინი“, ტანვარჯიში და მხატვრული ტანვარჯიში ქალთათვის.

● **უცხოელი მეტოქეებიდან ყველაზე მეტად ვინ მოსწონთ ჩვენს სპეციალისტებს?**

სევერიანოვი: ჩემი აზრით, იტალიელი კლაუს დიბიასი. მეხიკოს ოლიმპიადამდე ორი წლით ადრეც ცხადი იყო, რომ კოშკზე უძლიერესი სწორედ ის იქნებოდა. დიბიასის უჩვეულო უნარი აქვს მოძრაობის კონტროლის და დაზუსტებისა. „მარცხის“ შემთხვევაშიც კი იგი 7-7,5 ქულას იღებს. ჩინებული სპორტსმენია, დინჯი, მშვიდი, მუდამ თავაზიანი.

● **ფიქრობთ თუ არა დღეს მათზე, ვინც უნდა შეასრულოს „ნახტომი მომავალში“, ვინც 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში უნდა მოიპოვოს წარმატება?**

ზოტოვი: ამ კითხვას პასუხი ალბათ მე უნდა გავცე. დღეს შექმნილია ახალგაზრდული ნაკრები — დაახლოებით 15 ჭაბუკი და ქალიშვილი. მათგან საუკეთესონი გაისად ვენაში, იუნიორთა ევროპულ ჩემპიონატში გამოვლენ (ამ შეჯიბრებაში მონაწილეთა უმაღლესი ასაკი 15 წელია). ერთი წლით უფროსები კუბაში იასპარეზებენ „ოლიმპიური იმედების“ ტურნირში. საინტერესო იქნება შინაური შეჯიბრებებიც — მოსწავლეთა სპარტაკიადა ერევანში, სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონატი, ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლების გუნდების პირველობა. ნორჩების მომზადების დროს ვეცდებით მეხიკოს გაკვეთილი გავითვალისწინოთ.

ჩვენს ქვეყანაში უკვე დაახლოებით 80 „სახტომი“ აუზია. თითქოს ცოტა არ არის, მაგრამ ნაკრებისთვის შევსებას ყველა როდი იძლევა. სამწუხაროდ, ეს ითქმის კიევზე და მინსკზეც, სადაც მწვრთნელებიც ჰყავთ და საუცხოო პირობებიც აქვთ მხტომელთა მომზადებისთვის.

ჯერჯერობით ორიენტაცია აღებული გვაქვს ჩვენს დასაყრდენ პუნქტებზე, ქალაქებზე, სადაც ნაყოფიერად მუშაობენ ენთუზიასტი მწვრთნელები, რომელთაც ნორჩ მხტომელთა კარგი სკოლები შექმნეს. ესაა ალმა-ათა, ვოლგოგრადი, ვოლჟსკი, ლვოვი, მოსკოვი, ლენინგრადი. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მწვრთნელების მუშაობის წარმართვა და ხელმძღვანელობა ადგილებზე, მაგრამ არა მათი შეცვლა. ჩვენი მიზანია ხანგრძლივი შეკრებებით არ მოვწყვიტოთ ნორჩი სპორტსმენები ოჯახს, სკოლას, მეგობრებს, ნაცნობ გარემოს. წინ ბევრი სიძნელეა, მაგრამ ჩვენ გვწამს მომავლისა, გვჯერა საბჭოთა წყალში მხტომელთა წარმატება.

ვ. სმისლოვმა გამარჯვებით დაიწყო

ჰასტინგსი, 30 დეკემბერი. აქ გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა. პირველ ტურში ინგლისელ რ. კინთან გადადებულ პარტიაში საბჭოთა დიდოსტატს აშკარა უპირატესობა ჰქონდა და მისი მეტოქე თამაშის განუახლებლად დანებდა. მეორე ტურში ვ. სმისლოვის პარტია იუგოსლაველ ს. გლიგორიჩთან გადაიდო. გადაიდო აგრეთვე, ვ. ტუკმაკოვ (სსრ კავშირი)-ჰ. კოტნაუერის (ინგლისი) პარტიაც.

◆ **გარმიშ-პარტენკირხენი, 30 დეკემბერი.** ახალი გამარჯვება მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ჩვენმა იუნიორმა ჰოკეისტებმა. მათ ანგარიშით 12:3 დაამარცხეს პოლონელი სპორტსმენები.

◆ **სან-ხოსე, 30 დეკემბერი.** ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კოსტარიკისა და გონდურასის ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

◆ **ტუნისი, 30 დეკემბერი.** ტუნისის ფეხბურთელთა ნაკრები გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-16 ქვეჯგუფში. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა ტუნისელებმა ფრედ — 0:0 ითამაშეს ალჟირელებთან.

◆ **ბონი, 30 დეკემბერი.** გფრ-ში სტუმრად მყოფი მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელების ბოლო მატჩი „ბონის“ გუნდთან მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 8:1.

◆ **სოფია, 30 დეკემბერი.** ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს საერთაშორისო გამოკითხვის შედეგად 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია ოლიმპიური ჩემპიონი ბ. ბიმონი (აშშ). ათეულში შევიდნენ აგრეთვე ვ. სანეევი, ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი.

უძლიერესთა ათეული

მალიორკის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ საჭადრაკო ჟურნალისტებმა შეადგინეს 1968 წლის სიმბოლური ნაკრები: 1. ბ. სპასკი, 2. ვ. კორჩნოი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ბ. ლარსენი (დანია), 4. ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი), 5. რ. ფიშერი (აშშ), 6. მ. ტალი (სსრ კავშირი), 7. ლ. პორტიში (უნგრეთი), 8. ვ. სმისლოვი, 9. პ. კერესი, 10. დ. ბრონშტეინი (სამივე — სსრ კავშირი). როგორც ჟურნალისტმა შენიშნა, ფიშერს არც თუ მაღალი ადგილი უჭირავს. ლარსენმა მას იქვე მოუჭრა, წელიწადში 6-7 დიდოსტატთან შეხვედრით არც შეიძლება მეტის იმედი ჰქონდეს.

გამარჯვებულნი

ალპინიზმის საკავშირო ფედერაციამ გამოაცხადა მწვერვალთა დაპყრობაში XIX ჩემპიონატის შედეგები. ტრავერსების კლასში ლაურეატები გახდნენ ყაზახეთის სპარტაკელები, რომელთა აქტივშია ტიან-შანის მწვერვალების ტრავერსი: შატერის პიკი (6700) — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის პიკი (6637) — სალადინის პიკი (6280) — ხან-თენგრის პიკი (6995).

ლენინგრადის „სპარტაკის“ გუნდმა გაიმარჯვა უმაღლესი ასვლების კლასში. სპარტაკელებმა ოქრო დაიმსახურეს კომუნიზმის პიკის ახალი გზით შტურმის განხორციელებისათვის. გამარჯვება იზეიმეს ყაბარდო-ბალყარეთის სპარტაკელებმაც. მათ ოქროს მედლები მოიხვეჭეს ხასიმაღლო ტექნიკური ასვლისთვის, დაიპყრეს უამირის ოჰაპუ-ს (6055 მ) პიკი ახალი მარშრუტით. კავკასიონის ტექნიკურად რთულ კედელზე ასვლის განხორციელებისათვის ოქროს მედლები გადაეცათ „ავანგარდის“ მთამსვლელებს. მათ დაიპყრეს უშბის ჩრდილოეთ მწვერვალის აღმოსავლეთის კედელი.

სურათზე: კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის პიკის პირველი დამპყრობნი.

როგორ თამაშობს გუნდი, როგორი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კალათბურთელებს. ამ და სხვა მეტად საჭირო ცნობებს ჩვენი კოლექტივების მწვრთნელები იღებენ პირველი ტაიმის დამთავრებისთანავე. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე თბილისის გუნდებს მეტად საჭირო მასალებს აწვდის კალათბურთის მომავალ სპეციალისტთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფრენბურთის, კალათბურთისა და მოძრავ თამაშობათა კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. წერეთელი.

სურათზე: ბრიგადა მუშაობისას (მარცხნიდან) ტ. ტანტიბა (მწვრთნელთა სკოლა), დ. ბენაშვილი (ფიზ. ინსტიტუტი), ლ. კაკიაშვილი (ფიზ. ინსტიტუტი), ლ. კენჭოშვილი (მწვრთნელთა სკოლა), რ. კამოილიკოვა (ფიზ. ინსტიტუტი). ბრიგადის მუშაობას თვალყურს ადევნებს ა. წერეთელი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჯავა—ცხინვალის ტრასით

მათი გულისტკივილი

ჯავის რაიონის ფიზკულტურული ცხოვრება ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ შ. თედეევმა გაგვაცნო.

პირველად სტადიონს ვეწვიეთ. მინდორზე იმ დღესაც ღორები დათარეშობდნენ. შერცხვენილი მასპინძელი ბევრს ეცადა გათამამებული პირუტყვები სპორტული სარბიელიდან გაერეკა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სხვათა შორის, სტადიონზე ერთ დროს კალათბურთის მოედანიც ჰქონიათ, მაგრამ ახლა ფარებიღაა დარჩენილი.

თედეევი ბევრს მელაპარაკა რაიონში მძლეოსნობის განვითარებაზე, ჩემპიონებიც დამისახელა. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა მოსწავლეებში უძლიერესი ზ. ფარასტაევა, რომელიც 3,81 მეტრ სიგრძეზე (!?) გადამხტარა. ამ შედეგის მაქებარს გაკვირვებით რომ შევხედე, დაირცხვინა და დასძინა: რაიონში მძლეოსნური სექტორები რომ გვქონდეს, შედეგსაც უკეთესს მოვიპოვებდითო.

მერე სათხილამურო ბაზას მივაკითხეთ. ბაზას იმიტომ უწოდებენ, რომ შეჯიბრებებს სწორედ ამ რაიონში მართავენ, თორემ არც ტრასები აქვთ მოწყობილი, არც ბინები. მართალია, „სპარტაკს" 8 წლის წინ ამ ადგილზე 60-მეტრიანი ტრამპლინის აგება დაუწყია, მაგრამ საქმე შუაგზაზე მიუტოვებიათ და ბოლოსდაბოლოს შრომა წყალში ჩაყრილა. როცა დიდი ტრამპლინის აგებას საშველი არ დაადგა, სპორტკავშირის თავმჯდომარის თაოსნობით ფიზკულტურელებმა 25-მეტრიანი ტრამპლინის აგება წამოიწყეს — ტყე გაჩეხეს, მაგრამ ბულდოზერი ვერ იშოვეს და ეს მშენებლობაც დაუმთავრებელი დარჩა.

რაიონში მხოლოდ „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" რაისაბჭოებია. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას მათი 21 ჯგუფი ემსახურება. გასამრჯელოს მხოლოდ ჭიდაობის ჯგუფის ხელმძღვანელს აძლევდნენ. კარგი მოჭიდავეებიც აღზარდეს. აქ აიდგეს ფეხი ევროპის ჩემპიონმა ა. ცხოვრებოვმა და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პრიზიორმა ვ. ფარასტაევმა. მაგრამ შემდეგ „სპარტაკის" ამ ერთადერთმა ჯგუფმაც შეწყვიტა არსებობა. ახლა 60 კაცის მაგიერ ჭიდაობაში ოცამდე სპორტსმენს უსასყიდლოდ ავარჯიშებს ჯავის სკოლის მეათეკლასელი ო. ბიტიევი.

არც სკოლებშია საქმე კარგად, არც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. რაიონის 22 სკოლაში ფიზაღზრდის 5 სპეციალისტი მუშაობს. დარბაზი სამ სკოლას აქვს. ცონის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ფუხაევი) 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ფიზკულტურული ცხოვრების გარეშეა დარჩენილი, ვინაიდან ამ საქმის ხელმძღვანელი არ ჰყავთ. უარესი მდგომარეობაა ჯავის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი კ. თედეევი). აქ არც მეთოდისტი ჰყავთ და არც იურიდიულ საწევროს იხდიან.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა უ. ხანიკაევმა დაგვიდასტურა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ბაზების უქონლობა და ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის გულგრილობა ამუხრუჭებს.

ჯავის რაიონში ბევრი სპორტის მოყვარულია. სწორედ ენთუზიასტების ზრუნვით იყო, რომ ჯავის ფიზკულტურელებმა სამხრეთ ოსეთის შარშანდელ სპარტაკიადაში II ადგილი მოიპოვეს. მაგრამ მარტო ენთუზიაზმი საქმეს როდი შველის.

●●

მესვეურებსაც რომ უყვარდეთ...

ძალოსნები მომთმენი ხალხია, მაგრამ თურმე მათი მოთმინების ფიალაც ივსება. ალბათ, მაშინაც ასე იყო, როცა ცხინვალში ჩასულს შემომჩივლეს: წამოდით, ნახეთ, სად ვვარჯიშობთ, იქნებ თქვენი გაზეთი მაინც დაგვეხმაროსო.

წავედი და ვნახე ოთახი 4×5 მ ფართობით, სადაც 3 წელია ცხინვალელი ძალოსნები არიან შეკედლებულნი. სხვა არაფერი გააჩნიათ — არც გასახდელი, არც შხაპი. ადრე უარეს პირობებში ყოფილან. მართლაც გასაკვირია, როგორ ალზარდეს ისეთი სპორტსმენები, როგორიც არიან ქვეყნის რეკორდსმენი ახალგაზრდებს შორის რ. გაბარაევი, სპორტის ოსტატი დ. ჯიოევი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ზასახოვი.

ამ მცირე დარბაზში 30 ახალგაზრდა ვარჯიშობს, ეტყობა, ცხინვალელ ჭაბუკებს უყვართ ეს სახეობა. რა კარგი იქნებოდა, ქალაქის სპორტის მესვეურებსაც ასეთივე სიყვარული ჰქონდეთ ძალოსნობისა.

●●

უფროსის მაგალითი

საამქროს უფროსს ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ ი. ჯანაშვილი ყველაფერს ასწრებს. გულისხმიერი ხელმძღვანელი კრებამ საამქროს ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩია და არც შემცდარა. ჯანაშვილმა სპორტის აგიტაციით დაიწყო და მალე სამკერვალო საამქროს თითქმის ყველა თანამშრომელი აიყოლია — 74 კაცი ჩაება საწარმოო ტანვარჯიშში. მერე ჭადრაკში გამართა ტურნირი, შემდეგ ცხინვალის ქიმიური ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორთან ი. კაბისოვთან ერთად სავიზმომზადების ჯგუფი ჩამოაყალიბა.

თ. კოჩიევა 48 წლისაა, დ. თედეევამ და ნ. ვალიევამ ოცდაათს გადააბიჯეს, მაგრამ შრომის შემდეგ სხვებთან ერთად ისინიც სიამოვნებით თამაშობენ ფრენბურთსა და კალათბურთს.

ახლახან ქარხანაში ტურიზმის სექცია შეიქმნა და მკერავები მისი აქტიური წევრები გახდნენ. ხ. გაზიტაევი, რ. შოთაშვილი, ს. ხაბიევი სხვა 60 კაცთან ერთად უკვე ორჯერ იყვნენ ქალაქგარეთ სალაშქროდ.

●●

ნიჭი — გულგრილობის მსხვერპლი

ცხინვალელ მოსწავლე მძლეოსანთა ბოლო შეჯიბრებამ გულშემატკივრები ვერაფრით გაახარა. ო. ურავინოვა (მე-3 სკოლა), ე. ბიიაზროვა (მე-9 სკოლა), მ. ქურციევა და ს. დუდაევა (ორივე — სკოლა-ინტერნატი) 1 მეტრ სიმაღლეზე ძლივს გადახტნენ, ბიიაზროვამ სიგრძეზე ხტომაში 2,55 მ აჩვენა, მას არც თანასკოლელი ნ. ქოლიევა „ჩამორჩა" — ბირთვი 5 მეტრზე ჰკრა, მე-7 სკოლის მოსწავლემ ნ. ტოკმაევამ კი 800 მეტრის გარბენას 3 წუთი და 58 წამი მოანდომა. ჭაბუკთა შეჯიბრებაში ბ. კანდელაკმა (მე-4 სკოლა) ბადრო 20,20 მეტრზე ტყორცნა, ვ. პოდლესნიმ (მე-6 სკოლა) 200 მეტრზე 38,1 წამი აჩვენა, თ. პურიჯამიაშვილი (მე-7 სკოლა) კი 3,80 მეტრ სიგრძეზე გადახტა.

ვფიქრობ, ეს მაგალითები კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რა დონეზეა მძლეოსნობა ცხინვალის სკოლებში, მაგრამ უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ მაინცდამაინც არც ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის მძლეოსნები გამოირჩეოდნენ. მიზეზი? უამრავია. მე კი მხოლოდ ორ მთავარს დავასახელებ: ჯერ ერთი, დამწყები მძლეოსნების საწვრთნელი დატვირთვა მეტისმეტად შეუმცირებიათ — თვეში 19 საათი (!?). მეორე და მთავარი: ბავშვთა სპორტსკოლას არავითარი ბაზა არ აქვს. ზაფხულობით ვარჯიშობენ ქალაქის სტადიონზე, სადაც ერთადერთი შხაპია, სარბენი ბილიკები მოუწყობელია და არ ირწყვება, ფეხბურთის მინდორზე ტყორცნაში ვარჯიშის ნებას არ იძლევიან. სტადიონი სპორტინვენტარითაც ღარიბია — ქალაქის პირველობა რომ ტარდებოდა, სიმაღლეზე ხტომისთვის დგარები და ზოგიერთი სხვა ინვენტარი სკოლებიდან ითხოვეს. არა აქვთ ბადროები, შუბები, ჰოკით სახტომ ორმოში ნახერხი დღემდე ვერ ჩაყარეს.

მართალია, ცხინვალში ნიჭიერი მძლეოსნებიც ჰყავთ. ესენი არიან, მაგალითად, 13 წლის ნ. ქებაძე, რომელმაც ერთკილოგრამიანი ბადრო 45,60 მეტრზე ტყორცნა, სპრინტერი თ. ნალბანოვი, სიმაღლეზე მხტომელი კ. ფუზაევი (170 სმ) და სხვანი, მაგრამ მათი ნიჭი ხელმძღვანელთა გულგრილობის გამო სათანადო გზას ვერ პოულობს, სწორედ ამიტომაა, რომ სამხრეთ ოსეთის მძლეოსნები რესპუბლიკურ ტურნირებში უხეიროდ გამოდიან.

●●

კომენტარები ზედმეტია

დოსააფის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის საქმიანობითაც დავინტერესდი: როგორ მუშაობენ, რომ საბჭოთა არმიაში მომზადებული წვევამდელები გაისტუმრონ?

— გეგმებს ვასრულებთ, — მახარა კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ჯატიევმა, — აი, ნახეთ, ავიამოდელისტები და ავტომოდელისტები მოვამზადეთ, 50 კაცს ცურვა ვასწავლეთ, 160 ფიზკულტურელმა ტყვიის სროლაში შეასრულა ნორმატივი, მაგრამ 60 თანრიგოსანი გახდა, სროლა ჩვენთან ყველაზე პოპულარულია — წლეულს 18 შეჯიბრება გავმართეთ...

მე კი ოქმებს ვათვალიერებ და მიკვირს: ქალაქის 95 პირველადი ორგანიზაციიდან ტურნირებში მხოლოდ სამედიცინო სასწავლებლისა და რამდენიმე საშუალო სკოლის გუნდები მონაწილეობენ. რატომღაც არ ჩანან მე-9 სამკერვალო ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, ქარხანა „ემალსადენის", „ელექტროვიბრომანქანის" და სხვათა კოლექტივები. ტურნირებში ისეთი წვევამდელები დაუშვიათ, რომლებმაც თოფის სროლაც არ იციან: თ. საძაგლიშვილმა, ნ. უკუუნაშვილმა და დ. დოლიძემ (სამივე — მედსასწავლებელი) 50-დან თითო ქულაც ვერ დააგროვეს. 100-დან მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა ბ. კერტიკოშვილმა (მე-4 სკოლა).

რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თითო ყუთი მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნა (იგი 50 კაპიკი ღირს) შეჯიბრებაზე ხუთჯერ მეტი გვიჯდებაო, გვითხრეს.

სპეციალური მომზადებისთვის პირველად ორგანიზაციებში წესით სასწავლო პუნქტები ეწყობა, ცხინვალში ასეთი პუნქტი ერთხანს თითქმის ყველა სკოლაში იყო, ახლა კი მარტო მეხამე საშუალო სკოლაში დარჩენილა.

— სამაგიეროდ, შესანიშნავი პუნქტია, იარაღიც გვაქვს, ვარჯიშებიც ეწყობაო, — გვითხრა ჯატიევმა. სინამდვილეში საქმე ამ სკოლაშიც თვითდინებაზე ყოფილა მიშვებული.

შემდეგ თავმჯდომარემ ნაბეჭდი ფურცლები მაჩვენა. „რა უნდა იცოდეს დოსააფის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარემ". ასეთი სამახსოვრო ყველა ორგანიზაციას დავუგზავნეთო, მითხრა. ცხადია, სამახსოვროს დაბეჭდვა უფრო იოლია, ვიდრე ადგილებზე სიარული და პრაქტიკული საქმიანობის სათანადოდ წარმართვა.

როცა სიტყვა ანგარიშგება-არჩევნებზე ჩამოვაგდეთ, თავმჯდომარემ ამაყად მომიგო: პირველადი ორგანიზაციის ბევრ კრებას თავად ვესწრებოდი, ანგარიშებიც აქა მაქვსო, მაგრამ საქმეში ძლივს მიაგნო სამად-სამ ანგარიშს. გამოირკვა, რომ წლეულს თავმჯდომარეს არც ერთი კოლექტივი არ შეუმოწმებია, პრაქტიკულად არც ერთს დახმარებია, პრეზიდიუმის სხდომების დადგენილებანი ერთმანეთის ასლია და ყველგან მეხამე ავტომოტოლატარიის ბილეთების გავრცელებაზეა ლაპარაკი. ეს კამპანია მარტში დაუწყიათ და 16 ათასი ბილეთიდან 6 ათასი ძლივს გაუსაღებიათ. ესეც დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის ზრუნვის ნიმუში გახლავთ.

დოსააფის ცხინვალის საქალაქო ორგანიზაცია 8650 წევრს ითვლის, მაგრამ მათთვის წევრობა მხოლოდ საწევროს გადახდით განისაზღვრება. ბევრ კოლექტივში არ არის საბრძოლო დიდების კუთხე, წლეულს არ ჩაუტარებიათ სემინარები სპორტის ტექნიკურ სახეობებში კადრების (მსაჯებისა და ინსტრუქტორების) მომზადებისთვის, კომიტეტს არ აქვს თანრიგების მინიჭების ბრძანება და ოქმი პრეზიდიუმის სხდომისა, სადაც თანრიგების მინიჭების საკითხი განიხილეს (თუ საერთოდ განიხილეს). სამაგიეროდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 60 კაცს სპორტული თანრიგი მაინც მიანიჭეს.

ვის ვის და გამოცდილ მუშაკს ჯატიევს ეს არ უნდა მოსვლოდა. დამნაშავეა საოლქო კომიტეტიც. იგი დღემდე არ დაინტერესებულა საქალაქო კომიტეტის საქმიანობით.

ვ. ზუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ჯავა—ცხინვალი.

ეს სურათი ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის ტერიტორიაზეა გადაღებული. აქაურ ფიზკულტურელებს ერთ დროს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები ჰქონდათ, მაგრამ დირექციას ეს მოედნები საწყობად დასჭირდა და კიდეც გამოიყენა — სამშენებლო ინვენტარი დააწყო. უბაზებოდ დარჩენილ კოლექტივში სპორტული საქმიანობა შეწყდა, ფიზკულტურელთა რიცხვი შემცირდა. კომბინატის დირექტორს შ. გიგოლაევს ბევრჯერ სთხოვეს ყუთების დასაწყობი ადგილი სხვაგან გამოეძებნა, მაგრამ...

[illegible]

✦ მახარაძე

შრომის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ამას წინათ შეხვედრა გაუმართეს მსოფლიოს ორგზისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუას. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა რ. ჩხაიძემ. სახელოვანი სპორტსმენის წარმატებებზე ილაპარაკეს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა რ. ბოლქვაძემ, ნ. ჩხაიძემ, ნ. ხუხუნაშვილმა, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონმა თ. მაჭავარიანმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ი. ბალავაძემ და სხვ. რურუამ მოსწავლეებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისთვის.

ლ. ცეცხლაძე.

✦ ოჩამჩირე

ადგილობრივი სპორტსკოლის თაოსნობით ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი და ფეხბურთი. შეჯიბრებაში თავი ისახელეს რკინიგზის მე-15 საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდებმა (დირექტორი შ. ქაჯაია, ფიზაღზრდის მასწავლებლები ა. დამენია და ლ. კუხალეიშვილი): მათ I ადგილები მოიპოვეს ფეხბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში. ყველას აჯობეს ამ სკოლის ფრენბურთელმა გოგონებმაც.

რ. ჭედია.

✦ ვანი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში. თავი ისახელეს ვანის კიროვის სახელობის სკოლის ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მძლეოსნობაში, ფეხბურთში და კალათბურთში პირველობა არავის დაუთმეს. ფრენბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ასპარეზობაში კი იმარჯვეს შუამთის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ა. მამასახლისი,
სპორტსკოლის დირექტორი.

* * *

რაიონის მოსწავლე-მძლეოსანთა შეჯიბრებაში 14 გუნდი მონაწილეობდა. პირველობა ვანის კიროვის სახელობის სკოლის სპორტსმენებმა მოიგეს. II ადგილი ხვდათ ტაბიძის სახელობის, III — ისრითის სკოლის წარმომადგენლებს. პირად პირველობაში კარგი შედეგები აჩვენეს ს. თხელიძემ, რ. პაპიაშვილმა, რ. ერემეიშვილმა, ლ. ქიმუცაძემ, რ. თეთროქალაშვილმა და ა. გოგიბერიძემ.

ა. ნიკოლეიშვილი.

✦ ადიგენი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილები დაიკავეს აბასთუმნის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა და გოგონებმა.

ნ. მამულაშვილი,
სპორტსკოლის დირექტორი.

რვაასიდან ორასმა

ორ კვირას გაგრძელდა გორის ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 10 სახეობა შედიოდა. სტარტზე 800-მდე სპორტსმენი გამოვიდა. ტურნირი გაიმართა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იმარჯვეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ მძლეოსნობაში, ხელბურთში, ქართულ ჭიდაობაში და სხვა სახეობებში. II ადგილზე გავიდა ბამბეულის კომბინატის გუნდი. ამ კომბინატის სპორტსმენებმა მოიგეს თავისუფალი სტილით ჭიდაობა და სამბო. III ადგილზე გავიდა საკონსერვო კომბინატი.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ნაკრებმა.

სპარტაკიადის 200-მდე მონაწილემ პირველად შეასრულა სხვადასხვა სპორტული თანრიგის ნორმატივები.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

საშუალედო ფინიშთან

დამთავრდა კალათბურთელ ქალთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატის I წრის I ტურის მატჩები. ფავორიტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეინარჩუნეს პოზიციები და სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილებს. მაგრამ ამ ჩემპიონატში კიდევ უფრო შემცირდა განსხვავება ლიდერებსა და სხვა რიგით გუნდებს შორის.

მაგალითისთვის გადახედეთ ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონის რიგის ტტტ-სა და ვილნიუსის „კიბირკშტისის" შეხვედრის ტექნიკურ ოქმს. რიგელებმა მართალია მოიპოვეს გამარჯვება, მაგრამ მხოლოდ II დამატებით ხუთ წუთში. ძირითადმა დრომ (54:54), ისევე როგორც პირველმა დამატებითმა ხუთმა წუთმა (62:62) ვერ გამოავლინა უძლიერესი და მხოლოდ 50-ე წუთის მიწურულში, როცა ვილნიუსელთა შემადგენლობამ საგრძნობლად იცვალა სახე, ფავორიტმა მიაღწია ერთქულიან უპირატესობას.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ქალთა კალათბურთში თანდათან ირყევა საფუძველი ტტტ-ს ბატონობასი. ერთი მატჩის შედეგით ასეთი კატეგორიული მტკიცება, ჩვენის აზრით, წინდაუხედავი აჩქარებაა, რადგან ჯერ ერთი, რიგელებმა ამ ჩემპიონატში ყველა სხვა შეხვედრა დიდის უპირატესობით მოიგეს და შემდეგ, ტტტ-ს ყოველ სეზონში ჰყავდა თითო უხერხული მეტოქე (გაიხსენეთ თბილისის სპი, რომელიც ორი წლის მანძილზე სიცოცხლეს უმწარებდა ჩემპიონს), მაგრამ ამის გამო მას არც ჩემპიონობა დაუკარგავს და არც წამყვანი პოზიცია დაუთმია.

„კიბირკშტისი", ისევე როგორც მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", უდავოდ პერსპექტიული გუნდია, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, კიდევ არაერთხელ გამოიჩენს თავს როგორც საკავშირო მასშტაბის ტურნირებში, ისე შესაძლოა საერთაშორისო სარბიელზე. ხაზიც სწორედ იმას უნდა გავუსვათ, რომ რიგის ტტტ-ს, ანუ გუნდს, რომელიც წლების მანძილზე შეუბღალავად ინახავდა საბჭოთა კალათბურთის პრესტიჟს, ბოლო ხანებში გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდა, ღირსეული პარტნიორები.

საერთოდ, ნაჩქარევ დასკვნებს ხშირად უხერხულ მდგომარეობამდე მივყავართ. ალბათ ყველას ახსოვს, თუ რა მითქმა-მოთქმა იყო ამტყდარი მოსკოვის დინამოელთა გარშემო ჩემპიონატის დაწყებამდე. ამ გუნდს ოქროს მედლების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტადაც კი თვლიდნენ. რა გამოვიდა მერე? ჯერჯერობით „დინამო" სატურნირო ცხრილში VI ადგილზეა. არ სჯობდა „დინამოს" ქომაგებს მეტი თავდაჭერა გამოეჩინათ, მაშინ ხომ არ ჩავარდებოდნენ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?

ორიოდე სიტყვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამოსვლებზე. ჩვენს გოგონებს არც ისე სახარბიელო, VIII ადგილი უკავიათ. სპი-ს შემადგენლობამ ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი მოულოდნელ ტრავმებს, ავადმყოფობას. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გუნდის ბოლო ხანების ჩავარდნას, და მაინც, უნდა ვაღიაროთ, რომ სპი ჩვენს კალათბურთში გარკვეულ ძალად რჩება (გაიხსენეთ თუნდაც მისი გამარჯვება მოსკოვის „დინამოზე"). ამის დამტკიცებას გამოცდილი და ბრძოლისუნარიანი კოლექტივი ჭრილობების მოშუშების შემდეგ შესძლებს.

25 იანვარს ლენინგრადში განახლდება ტურნირი. მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის ჯგუფის გუნდები ერთმანეთთან შეხვედრით დაასრულებენ XXXVI საკავშირო ჩემპიონატის I წრეს. მანამდე კი... გთავაზობთ I ტურის საბოლოო შედეგებს როგორც ცალკე ჯგუფებში, ისე მთლიანად.

მოსკოვის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი)	5	5	0	5
„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)	5	3	2	3
„დინამო" (მოსკოვი)	5	3	2	3
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	5	2	3	2
სპი (თბილისი)	5	2	3	2
„დინამო" (კიევი)	5	0	5	0

ნოვოსიბირსკის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	5	5	0	5
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	5	4	1	4
„კიბირკშტისი" (ვილნიუსი)	5	3	2	3
უსკა (ტარტუ)	5	2	3	2
„დინამო" (ნოვოსიბირსკი)	5	1	4	1
ასკ (ლენინგრადი)	5	0	5	0

ერთიანი ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ტტტ (რიგა)	5	5	0	369—282	5
„სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი)	5	5	0	287—263	5
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	5	4	1	326—299	4
„კიბირკშტისი" (ვილნიუსი)	5	3	2	336—260	3
„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)	5	3	2	293—264	3
„დინამო" (მოსკოვი)	5	3	2	241—237	3
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	5	2	3	264—249	2
სპი (თბილისი)	5	2	3	222—245	2
უსკა (ტარტუ)	5	2	3	278—305	2
„დინამო" (ნოვოსიბირსკი)	5	1	4	246—309	1
„დინამო" (კიევი)	5	0	5	239—288	0
ასკ (ლენინგრადი)	5	0	5	235—334	0

ცსკა-ს უჭირს

მოსკოვი, 29 დეკემბერი. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ძველ მეტოქეებს, დედაქალაქის „დინამოსა" და ცსკა-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს კოლექტივები სატურნირო ცხრილში სხვადასხვა პოლუსებზე არიან (ცსკა ლიდერია, „დინამო" — აუტსაიდერებთან მეზობლობაში იმყოფებოდა), ბრძოლა გამოდგა უაღრესად მძაფრი და უშეღავათო.

უპირატესობა დასაწყისშივე ხელთ იგდო „დინამომ", რომელიც უფრო აგრესიულად იყო განწყობილი და ამიტომაც უფრო მობილიზებული ჩანდა. ცსკა, მართალია, ჯერ კიდევ ლიდერთა შორის იმყოფება, მაგრამ მისი თამაში ჩემპიონატის ამ ეტაპზე ერთობ უხარისხოა. გუნდი მოქმედებს უფერულად, ყოველგვარი ხალისისა და ინიციატივის გარეშე. არმიელები, რომელთა რიგებში სსრ კავშირის ნაკრების 6 წევრი გამოდის, ჯერჯერობით ვალს უფრო იხდიან ვიდრე თამაშობენ. ის ქულები, რომელთა წყალობითაც ცსკა სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებოდა, მოპოვებული იყო საკუთარ მოედანზე აუტსაიდერებთან (რიგის ასკ, ალმა-ათის „ლოკომოტივი") შეხვედრებში. თავისი პირველივე გასვლა (ტარტუში) ლიდერმა ორი რიგითი დამარცხებით აღნიშნა. და აი, ახლა იგი მესამეჯერ დამარცხდა.

დიახ, დინამოელებმა მრისხანე მეტოქე საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში დაჩაგრეს. ცსკა-მ წააგო ტაიმი (24:29), მერე კი შეხვედრაც (53:67), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. ცსკა-მ, ნაკრების ძირითადმა ბირთვმა, აჩვენა თამაში, როგორიც არ ეკადრება უმაღლესი რანგის გუნდს.

დინამოელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ბალაშოვი (22 ქულა), არმიელებში — ლიპსო (16).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 დეკემბრისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი" (კაუნასი)	8	6	2	590—547	6
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	8	6	2	572—530	6
ცსკა	9	6	3	657—623	6
„სტროიტელი" (კიევი)	9	6	3	610—580	6
„დინამო" (თბილისი)	8	6	2	588—569	6
ასკ (კიევი)	9	5	4	576—571	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	10	5	5	649—657	5
„დინამო" (მოსკოვი)	9	4	5	587—564	4
ვეფ (რიგა)	8	3	5	538—527	3
„კალევი" (ტარტუ)	8	3	5	570—604	3
ასკ (რიგა)	10	1	9	675—752	1
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	8	1	7	575—663	1

შენიშვნა: თუ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, უპირატესობა ენიჭება ურთიერთბრძოლაში ნაჩვენებ შედეგს. მაგრამ ჩემპიონატის სტარტზე ლიდერები ერთმანეთში ჯერ არ შეხვედრიან. ამიტომ თანაბარქულიანები სატურნირო ცხრილში განლაგებული არიან გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით.

წუთშესვენება

ფოტოეტიუდი ა. საკოვისა.

სეზონი ნორჩებმა დახურეს

ამას წინათ ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში განათლების განყოფილების ინიციატივით ჩატარდა თბილისის ნორჩ მოცურავეთა პირადი სამატჩო შეხვედრა, რომელშიც განათლების განყოფილების სპორტსმენთა გარდა მონაწილეობდნენ „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივისა" და „განთიადის" წარმომადგენლები.

ასპარეზობაში ჩაება ბევრი უმცროსი ასაკის სპორტსმენი, რომელთა უმეტესობა პირველად ცდიდა ძალას. მათ შორის იყვნენ 6 წლის ნ. კოსტოგრიზოვა, 7 წლის ნ. მესხიშვილი, ს. ეფენდიევი, ი. პოტაპოვა (ყველა — განათლების განყოფილება), გ. არჩვაძე და დ. ლინეცი („განთიადი"). კოსტოგრიზოვამ 50 მ გულაღმა ცურვაში 1.10,2 აჩვენა და მხოლოდ 0,2 წამი დააკლდა მოზარდთა II თანრიგის ნორმატივამდე.

უნდა აღინიშნოს თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე ინგა პოტაპოვა, რომელმაც არა მარტო თავისი ასაკის, არამედ ბევრი მასზე უფროსი მეტოქე დაჯაბნა 50 მ ბრასით (57,0) და თავისუფალი სტილით (53,8) ცურვაში. მისი შედეგები ბევრად აღემატება მოზარდთა II თანრიგის ნორმატივს.

ინგამ ცურვაში ვარჯიში ამ ორი წლის წინ დაიწყო მამის, თბილისის განათლების განყოფილების მწვრთნელ კ. პოტაპოვის ხელმძღვანელობით.

თავი არც საშუალო ასაკის მოცურავეებს შეურცხვენიათ. განათლების განყოფილების წარმომადგენელმა, თბილისის 62-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ, 15 წლის ზ. ჩხაიძემ და მისმა თანაგუნდელმა ნ. ვატიაშვილმა პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივები. პირველმა ვაჟებში ყველას აჯობა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.11,8), მეორე—პირველი იყო გოგონებში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (1.13,0) ცურვაში.

ტურნირში თავი გამოიჩინეს ვ. გრიგორაშჩენკომ („შრომითი რეზერვები"), ა. მიხეევმა („განთიადი") და დ. ელიზბარაშვილმაც (განათლების განყოფილება).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტურნირი პირველად ჩატარდა და გამოუცდელობამ თავი იჩინა. ასპარეზობისთვის გამოყოფილი 2 საათი 450 მონაწილის მოსავლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. 100 მეტრზე ტურნირში ყველა მსურველის დაშვება არ მოხერხდა (შეჯიბრების ორგანიზატორებმა ამ დისტანციაზე მხოლოდ თავიანთი მოცურავეები გამოიყვანეს).

ტურნირის დამთავრების შემდეგ გადაწყდა: იმის გამო, რომ შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ამგვარი შეხვედრები უფრო ორგანიზებულად გაიმართოს.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ინგა პოტაპოვა ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო ავტორისა.

ლილი ბეჟანიშვილი

დაბადების დღე

მოთხრობა

სამსახურიდან დაქანცული დავბრუნდი.- ცოტას დავისვენებ და ისევ ინსტიტუტში წავალ. დღეს მხატვრული ტანვარჯიშის სექციის წევრები უნდა ვამეცადინო.

ტახტზე მივწექი. ოთახში სასიამოვნო სითბო და სიმყუდროვეა.

კარი გაიღო. ჩემი მეზობლის ბავშვმა, შვიდი წლის გიამ შემოირბინა.

— დეიდა თამთა, გილოცავ! — მითხრა და იის კონები გამომიწოდა.

ხელი მოვხვიე, მკერდზე მივიხუტე.

— რას მილოცავ, გია?

— დაბადების დღეს! — თქვა მორცხვად და ხელიდან გამისხლტა.

იები ლარნაკში ჩავაწყვე, ისევ ტახტზე მივწექი.

სულ დამავიწყდა, დღეს რომ ოცი აპრილია.. .თვალები დავხუჭე. მოგონებათა ბურუსში ჩავიძირე...

... კარზე აკაკუნებენ. ვიცი, პაპაა. პაპას მეტი ასე ადრე ვინ მოვიდოდა! მართლაც, ზღურბლთან პაპა დგას. ყვავილები უჭირავს.

— გილოცავ!.. — მეუბნება და თაიგულს მაწვდის. მერე იხრება და ლოყაზე მკოცნის. მკერდზე ვეხუტები. „ღმერთო ჩემო, როგორ მომენატრა! თითქოს მთელი წელი არ მენახოს".

— თვალები დახუჭე! — მეუბნება პაპა.

დავხუჭე, ქაღალდის შრიალზე ვგრძნობ, ჯიბიდან რაღაცას იღებს. მერე ყელზე რაღაც ცივი მეხება.

— გაახილე!

მკერდზე ვიხედები.

„ყელსაბამი, მე რომ მომწონდა".

— მოგწონს?

— ძალიან. სად იშოვნე?

— ჯაბამ ჩეხოსლოვაკიიდან ჩამომიტანა.

— რა იცოდი, რომ მომეწონებოდა?

— ვიცოდი, ერთ ქალს ეკეთა ასეთი ყელსაბამი და შენ თვალი გააყოლე...

პაპა დაღლილი ჩანს. საათობით ვარჯიში ხუმრობაა? ისიც კლდეზე ცოცვაში.

სიყვარულით შევცქერი მის ვაჟკაცურ, ოდნავ უხეშნაკვთებიან სახეს. ვკოცნი.

— თამთა!

სსს... — ტუჩებზე ხელს ვაფარებ.

— მუდამ გეყვარები? სიკვდილამდე?

— მუდამ. თუ სიკვდილია, ერთად დავიხოცოთ. ჯერ კი უნდა ვიცოცხლოთ, არა გვაქვს სიკვდილის უფლება.

— თუ ბიჭი გვეყოლა, მთამსვლელს გავზრდი, — ამბობს პაპა.

— გოგოს კი მე გავწვრთნი ტანვარჯიშში, — ვეუბნები ღიმილით.

... კაკუნი ძლიერდება. ფიქრებიდან ვერკვევი. ვდგები და სწრაფად ვაღებ კარს. „თამარი! ჩემი თამარი შეჯიბრებიდან დაბრუნებულა".

თამარს ოთახში აპრილის გრილი ჰაერი და სურნელება შემოაქვს. ჩემოდანს კართან დგამს და მეხვევა.

— ჩემო დედიკო, ... როგორ მომენატრე! შედეგები, ალბათ, იცი, ოქროს მედალი მივიღე.

— ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი, დაჯექი, დაისვენე!

— რა დასვენება მინდა, დაღლილი კი არა ვარ.

ჩემოდანში რაღაცას ეძებს. აპრილივით ჭრელ ქსოვილს ქაღალდს აცლის და მკერდზე მაფენს.

— დედიკო, დღეს ხომ შენი დაბადების დღეა... ნახე როგორ გიხდება!

მეცინება.

— ეს საშენოა, შვილო, რაღა დროს ჩემი მხიარული ფერებია.

— კი, აბა! თალხი ჭირივით მეჯავრება, ეს ფერი განგებ გიყიდე...

თამარი ჩემზე მაღალია. მამას დაემგვანა. სპორტის სიყვარულიც ჩვენგან გამოჰყვა. მართლა ტანმოვარჯიშე გავზარდე.

— დედა, იცი, მთამსვლელი ვადიმ ბირიუკოვი გავიცანი, მამას ამხანაგი ყოფილა. ჩემი გვარი რომ გაიგო, მკითხა: პაპა გელოვანი შენი რა იყოო? მამა იყო-მეთქი, ვუთხარი. ცრემლი მოადგა, გადამეხვია. ერთად ვიყავით ტიან-შანზე, იმ საბედისწერო ექსპედიციაშიო... მაშინ დაბადებული არ ვიყავი, არა, დედა?

— ჰო, შვილო.

ორივენი მდუმარედ შევცქერით პაპას სურათს. მთამსვლელის ტანსაცმელი აცვია, თოვლიან ფერდობზე ზის და ოდნავ გვიღიმის.

„თუ სიკვდილია, ერთად დავიხოცოთ, — მახსენდება ოდესღაც ნათქვამი ჩემი სიტყვები.

ძალა არ მეყო, ნათქვამი შემესრულებინა.

ნ. კ. კოპლატაძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თადარიგის პოდპოლკოვნიკი ნუგზარ კირილეს ძე კოპლატაძე.

იგი დაიბადა 1907 წელს თბილისში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ბაქოს. 1935 წელს ნ. კოპლატაძე წარმატებით ამთავრებს ამიერკავკასიის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტს.

კოპლატაძე შრომითი მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს.

ჯერ კიდევ 1925-29 წლებში იგი სწავლასთან ერთად ეწეოდა შრომით საქმიანობას, მუშაობდა ფიზკულტურის ინსტრუქტორად და საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1929-30 წლებში გაწვეული იყო წითელი არმიის რიგებში, 1930-60 წლებში მუშაობდა თევზის მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებლად, ამიერკავკასიის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრისა და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ფიზიკური მომზადების უფროსად, თბილისის ტრანსპორტის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსად, თბილისის ოფიცერთა სახლის სამხედრო-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის კაბინეტის უფროსად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის სასწავლო-სპორტული განყოფილების მწვრთნელად, უფროს ინსტრუქტორად და უფროსად. 1960-68 წლებში ნ. კოპლატაძე მუშაობდა საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგის მოადგილედ, უკანასკნელ ხანს — „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში.

ნ. კოპლატაძის ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობა სათანადოდ იქნა დაფასებული: 1967 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით, ჰქონდა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება.

ნუგზარ კოპლატაძის, როგორც სანიმუშო მუშაკის, შესანიშნავი მეგობრისა და გულისხმიერი ამხანაგის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

ოლიმპიური რეკორდები

ძალოსნობა

აჭიმვა

მჩატე	122,5	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	მეხიკო	1968
ქვემსუბუქი	122,5	ი. ბერგერი (აშშ)	ტოკიო	1964
მსუბუქი	140	ვ. კაპლუნოვი (სსრ კავშირი)	ტოკიო	1964
ქვესაშუალო	152,5	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
საშუალო	155	დ. ვერეში (უნგრეთი)	ტოკიო	1964
ქვემძიმე	172,5	კ. კანგასნიემი (ფინეთი)	მეხიკო	1968
მძიმე	200	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968

ატაცი

მჩატე	110	ს. ისინოსეკი (იაპონია)	ტოკიო	1964
ქვემსუბუქი	122,5	ი. მიიაკე (იაპონია)	ტოკიო	1964
მსუბუქი	135	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	ტოკიო	1964
ქვესაშუალო	140	მ. ოუტი (იაპონია)	მეხიკო	1968
საშუალო	147,5	ბ. სელიცკი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
ქვემძიმე	157,5	კ. კანგასნიემი (ფინეთი)	მეხიკო	1968
მძიმე	170	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968

აკვრა

მჩატე	150	მ. ნასირი (ირანი)	მეხიკო	1968
ქვემსუბუქი	152,5	ი. ბერგერი (აშშ)	ტოკიო	1964
მსუბუქი	167,5	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	მეხიკო	1968
ქვესაშუალო	187,5	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
საშუალო	187,5	ბ. სელიცკი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
ქვემძიმე	197,5	ი. ტალტსი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
მძიმე	217,5	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	ტოკიო	1968

სამჭიდი

მჩატე	367,5	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	მეხიკო	1968
ქვემსუბუქი	397,5	ი. მიიაკე (იაპონია)	ტოკიო	1964
მსუბუქი	437,5	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	მეხიკო	1968
ქვესაშუალო	475	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
საშუალო	485	ბ. სელიცკი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
ქვემძიმე	517,5	კ. კანგასნიემი (ფინეთი)	მეხიკო	1968
მძიმე	572,5	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	ტოკიო	1964

სროლა

ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა	1157	გ. ანდერსონი (აშშ)	მეხიკო	1968
მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა	1164	ლ. ვიგერი (აშშ)	ტოკიო	1964
მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლა	598	ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია)	მეხიკო	1968
მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 60 გასროლა	562	გ. კოსიხი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968
მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლა	593	ი. ზაპედსკი (პოლონეთი)	მეხიკო	1968
ადგილიდან სროლა	198	ე. მატარელი (იტალია)	ტოკიო	1964
მრგვალი სტენდი	198	ე. პეტროვი (სსრ კავშირი)	მეხიკო	1968

პელეს ინტერვიუ

ბრაზილიის ტელევიზიამ მოაწყო ინტერვიუ პელესთან, რომელმაც ილაპარაკა თანამედროვე ფეხბურთის აქტუალურ პრობლემებზე.

კითხვაზე, რით ხსნის ფეხბურთის პოპულარობის შემცირებას და მისი სანახაობითი მხარის საგრძნობ გაუფერულებას, პელემ უპასუხა, რომ ფეხბურთს დიდ ზიანს აყენებს საყოველთაოდ გავრცელებული დაცვითი ტაქტიკა, „კომერციული სულის მომძლავრება".

● **როგორია მწვრთნელისა და ფეხბურთელის როლის შეფარდება?**

— მატჩებს მწვრთნელები არ იგებენ. ყველაფერს წყვეტს მოთამაშეთა მოქმედება მინდორზე, მათი კლასი, გამჭრიახი გონება.

● **რომელი ფეხბურთელი იყო ყველაზე უფრო მრავალმხრივი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე?**

— უდავოდ, დი სტეფანო. მე არასოდეს დამავიწყდება „რეალისა" და „სანტოსის" შეხვედრა, რომელიც „რეალმა" მოიგო ანგარიშით 5:3. დი სტეფანო ინტელიგენტი ფეხბურთელის, მრავალმხრივი სპორტსმენის ნიმუში იყო.

მოკლედ

● **ლონდონი.** ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი ჯ. ბესტი დაშავდა და რამდენიმე კვირას არ ითამაშებს.

● **სტოკჰოლმი.** დაიწყო I და II ლიგების ჩემპიონატების რეფორმა. II ლიგის გუნდების რაოდენობა 48-დან დავიდა 20-მდე (2 ზონა). გაისად რეფორმა შეეხება პირველ ლიგასაც.

● **ნეაპოლი.** სივორის წასვლის შემდეგ „ნაპოლის" მწვრთნელმა ჩიაპელამ მკაცრი სანქციები მიიღო მეორე ცნობილი მოთამაშის, იტალიის ნაკრების წევრ ბარისონის მიმართაც. მისი აზრით, ბარისონი განზრახ თამაშობდა სუსტად, რათა ზიანი მიეყენებინა კლუბისთვის.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი იუწყება

ნუგზარ კირილეს ძე კოპლატაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალი ფორმულით

არგენტინის ჩემპიონატის ფორმულა შეიცვალა და როგორც ეროვნულმა ფედერაციამ განაცხადა, ეს გაკეთდა მსოფლიო ჩემპიონატისათვის უკეთ მომზადების მიზნით.

ახლა ჩემპიონატი ორ ეტაპად ტარდება. პირველს ეწოდება „მეტროპოლიის პირველობა" („ტორნეო მეტროპოლიტანო"). აქ 22 კლუბი გამოდის, რომელთა შორის 6 უსუსტესი გამოეთიშება მეორე ეტაპზე ბრძოლას.

მეორე ეტაპზე, რომელსაც რესპუბლიკის ჩემპიონატი ეწოდება, უკვე 16 კლუბი ითამაშებს.

„ტორნეო მეტროპოლიტანო" დამთავრდა „სან ლორენცოს" გამარჯვებით. II ადგილზე გავიდა საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი „ესტუდიანტესი".

ახლა მიმდინარეობს რესპუბლიკის პირველობა. 16 ქულით I ადგილზეა „რესინგი" (ბუენოს-აირესი), რომელიც 2 ქულით უსწრებს „რივერ პლატს".

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04379